Rustavis korpusi
Digitally signed by Rustavis korpusi
Date: 2019.08.30 10:58:44 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №63

ქ. რუსთავი

30 აგვისტო 2019 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - დირექტორის პირველი მოადგილის იაკობ ზეიკიძის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „მერაბ მღებრიშვილი", წარმოდგენილი მერაბ მღებრიშვილის სახით სახით,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისმე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 10 მაისის №1410 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (SMP190003359) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის ქ. რუსთავში, XXI მ/რ. №6 (ღირებულება 4640.40 ლარი დღგ-ის გარეშე) საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის (პარაპეტის კედელი) გამაგრებითი სამუშაოების (CPV45200000) ჩატარება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის დანართების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4640.40 (ოთხი ათას ექვსასორმოცი ლარი 40 თეთრი)-ლარს (დღგ-ის ჩათვლით);

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ობიექტზე მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი, ტექ. ზედამხედველისა და შესაბამისი ბმა-ს თავმჯდომარის მიერ დამოწმებული ფორმა №2-ის და დღგ-ის გადამხდელის შემთხვევაში ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 80%-ის ოდენობით. ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება — დარჩენილი 20%-ის ანაზღაურება მოხდება ექსპერტიზის დასკვნის და საბოლოო მ/ჩ აქტის საფუძველზე;

3.3. ტექნიკური ზედამხედველის და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი;

3.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.

4. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილი - ქ. რუსთავი, XXI მ/რ. №6 საცხოვრებელი კორპუსები.

4.2. სამუშაოს შესრულების ვადაა არაუგვიანეს 2019 წლის 06 სექტემბერი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივი მიღება მოხდება ტექ. ზედამხედველისა და შესაბამისი ბმა-ს თავმჯდომარის მიერ დამოწმებული, შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება მოხდება, შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ფორმა №2-ის და ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მხარეებს შორის გაფორმებული საბოლოო მ/ჩ აქტით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი: **<u>ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს დირექტორი ზვიად ლაბაძე.</u>**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში დროულად ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას.

გ) ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზრაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება,

ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება ხელშეკრულების 4.2. პუქტში მითითებულ ვადებში;

გ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის მიწოდება;

დ) დროულად და საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზი;

<u>ე) სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო პერიოდში 5 (ხუთი) წელი</u> საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას

გამოვლენილი წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტები) თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტები) გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს შესყიდვების სპეციალისტი თემურ ალადაშვილი, ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს ტექნიკური ინჟინერი ზაზა ვერულაშვილი.

7.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია;

ა)მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. <u>ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;</u>

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და 31,12,2019-მდე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“	ი/მ ,,მერაბ მღებრიშვილი”
მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის №3ა	**მის:** გურჯაანის რ-ნი, ვაზისუბანი 27-ე ქ №10
ს/კ 416289536	**ს/კ:** 01011007301
სახელმწიფო ხაზინა	**სს „თიბისი ბანკი“**
ბანკის კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი:TBCBGE22**
ა/ა GE24NB0330100200165022	GE47TB702 273 601 0100 100
.....	.....
დირექტორის მ/შ	ი/მ ,,მერაბ მღებრიშვილი”
იაკობ ზეიკიძე	მერაბ მღებრიშვილი